საქართველო
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
DMANISI MUNICIPALITY CITY HALL

N 07/729
20/02/2018

729-07-2-201802200925

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ მერაბ ოქრიაშვილს

ბატონო მერაბ,

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ განსახილველად დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს შესაბამის ფორმებთან ერთად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 ნოემბრის N20 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 4830,0 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 2150,0 ათასი ლარი, გრანტები - 2374,7 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 280,3 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება - 25,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შვიდჯერ; აქედან, საქართველოს მთავრობის N480 განკარგულებით გამოყოფილ თანხებში ორჯერ, საქართველოს მთავრობის N1213, N1705, 1454, N693 განკარგულებით ოთხჯერ და ერთ შემთხვევაში წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის მიმართვით ხარჯების დასაფარავად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 96% (გეგმა - 7733,1 ათასი ლარი, ფაქტი - 7420,2 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) საშემოსავლო გადასახადი - 80 % (გეგმა 280,0 ათასი ლარი, ფაქტი 224,5 ათასი ლარი)

ბ) გადასახადებიდან შემოსულია: - ქონების გადასახადი საწარმოებიდან 84,9% (გეგმა -1060,0 ათასი ლარი, ფაქტი - 900,0 ათასი ლარი), - ქონების გადასახადი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან 90,8% (გეგმა - 470,0 ათასი ლარი, ფაქტი 426,6 ათასი ლარი) ქონების გადასახადი არასასოფლო - სამეურნეო მიწიდან 416,5% (გეგმა - 20,0 ათასი ლარი, ფაქტი - 83,3 ათასი ლარი)

გ) გრანტები - სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია - 95,1% (გეგმა - 4952,7 ათასი ლარი, ფაქტი -4708,3 ათასი ლარი) აქედან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 88,3% ანუ 1839,3 ათასი ლარი ნაცვლად 2083,7 ათასი ლარის, ხოლო გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია -100% ანუ 2869,0 ათასი ლარი.

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 232,1% (გეგმა - 460,3 ათასი ლარი, ფაქტი - 1068,5 ათასი ლარი), აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - წიაღისეულის მოპოვებიდან შემოსულია 703,6 ათასი ლარი, (RMG GOLD – 620.0 ათასი ლარი, შპს ,,ართა''-56,2 ათასი ლარი, შპს ,,საქართველოს მელიორაცია'' – 17,7 ათასი ლარი, შპს ,,თეთრი ქუდი'' – 1,3 ათასი ლარი); ხოლო მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით, წყლის რესურსებით და სხვა არაკლასიფიცირებული რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 48,9 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან გადახდილია 51,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (90,0 ათასი ლარის) 57,3%-ია; საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 35,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (52,3 ათასი ლარის) 66,9%-ია ჯარიმები, სანქციები და საურავები შემოსულია 72,7 ათასი ლარი და შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 156,7 ათასი ლარი.

ე) არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებულია 7,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (25,0 ათასი ლარი) 31,2 %-ია.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის გადასახდელები ათვისებულია 81,5% (გეგმა 7733,1 ათასი ლარი, ფაქტი 6299,0 ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 92,3% (გეგმა - 1792,2 ათასი ლარი, ფაქტი - 1654,5 ათასი ლარი).

-ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხარჯები 95,2 % (გეგმა - 65,0 ათასი ლარი, ფაქტი - 61,9 ათასი ლარი)

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები - 72,8% (გეგმა - 4625,2 ათასი ლარი, ფაქტი - 3369,4 ათასი ლარი, აქედან ადგილობრივი შემოსავლებით განხორციელებული პროექტები შეადგენს 72,4% -ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები 73,9%-ს (გეგმა 2348,8 ათასი ლარი, ფაქტი - 1721,6).

- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 98,8% (გეგმა 400,0 ათასი ლარი, ფაქტი 395,2 ათასი ლარი).

-სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები - 96,6% (გეგმა - 514,0 ათასი ლარი, ფაქტი 496,7 ათასი ლარი).

- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის - 95,5% (გეგმა - 336,6 ათასი ლარი, ფაქტი 321,4 ათასი ლარი).

- ზემოთ აღნიშნული ფაქტიური ხარჯებიდან;

ა) შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 892,2 ათასი ლარი რაც მთლიანი ხარჯების 14,2 %-ს შეადგენს.

ბ) საქონელი და მომსახურებით გათვალისწინებულ მოცულობამ შეადგინა 898,5 ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 14,3%, აქედან: შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე -3,3 %, ოფისის ხარჯები - 4,0 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 2%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 4,7%.

გ) ააიპ - ების სუბსიდირებაზე გაცემულია - 19,7%.

დ) სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაწეულია - 3,3%

ე) გრანტის მუხლით გაცემულია - 0,3%.

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებულია - 47,1%.

ზ) ვალდებულებების კლების მუხლით - 1,1%.

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ, 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა: საქონლის შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა და სამშენებო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვა. შესყიდვების განსახორციელებლად შესყიდვების მიერ გაფორმებულ იქნა 129 (ასოცდაცხრა) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამაც შეადგინა 4 112 017,61 (ოთხი მილიონ ასთორმეტი ათას ჩვიდმეტი და 61 თეთრი) ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესაბამისად,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის მიმართულებით გათვალისწინებული იყო 4357.2 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს - 2348.3 ათას ლარს, ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 2267.5 ათას ლარს.

ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან შესაბამისი კლასიფიკაციის გათვალისწინებით განხორციელებული იქნა სახელმწიფო შესყიდვა შემდეგი სახით:

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია, დაგეგმილი იყო 3220.4 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 2005.4 ათას ლარს, ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 12150 ათას ლარს, ფაქტიურად ათვისებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თნხები 1552.0 ათასი ლარი ანუ -77,4%, ხოლო საკუთარი სახსრებიდან ათვისებულია 740.6 ათასი ლარი ანუ - 61%.

ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაგეგმილი იყო 107.5 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია საკუთარი სახსრებიდან - 91.4 ათასი ლარი ანუ - 85%.

გ) ბინათმშენებლობა დაგეგმილი იყო 649.5 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან 154.1 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 495.4 ათასი ლარი; ფაქტიურად ათვისებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები 1.5 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 394.4 ათასი ლარი ანუ 79,6 %.

დ) გარე-განათების მოწყობა, რეაბილიტაცია დაგეგმილი იყო 6.3 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია - 4.1 ათასი ლარი აუ - 65,1%.

ე) კეთილმოწყობის ღონისძიებები დაგეგმილი იყო 373.6 ათასი ლარი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან 188.8 ათასი ლარი, ხოლო საკუთრი სახსრებიდან 184.8 ათასი ლარი; ფაქტიურად კი ათვისებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თნხები 168.0 ათსი ლარი ანუ - 89%, ხოლო საკუთრი სახსრებიდან 165.0 ათსი ლარი ანუ - 89.3%.

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე და ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე საშუალებით (სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესასრულებლად). დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების მიერ გამოცხადებულია 23 (ოცდასამი) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე, ასევე ჩატარებულ იქნა 38 (ოცდათვრამეტი) ელექტრონული ტენდერი, ასევე გამოცხადებული ტენდერებიდან უარყოფითი შედეგით დასრულდა 2 (ორი), სადაც პრეტენდენტებმა არ დააზუსტეს შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაცია. არ შედგა 6 (ექვსი) ტენდერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა არცერთ პრეტენდენტს არ

მიუღია და შეწყდა 2 (ორი) ტენდერი, აღნიშნულ ტენდერებში ატვირთულ სატენდერო დოკუმენტაციაში საჭირო გახდა სატენდერო დოკუმენტაციის შეცვლა.

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 78 (სამოცდათვრამეტი) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, საიდანაც 11 (თერთმეტი) ხელშეკრულება იქნა გაფორმებული შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, 1 (ერთი) ხელშეკრულება - ექსკლუზიური უფლებამოსილებაზე, 66 (სამოცდაექვსი) ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვით.

ერთობლივი ტენდერი ჩატარდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და საქართველოს მთის ფონდიდან 2017, 2018 და 2019 წლებში ქალაქ რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის საჭირო და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი (50 000 ლარზე მეტი ღირებულების) პროექტების, საპროექტრო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე (NAT170007695). აღნიშნული ტენდერი არის მრავალწლიანი. 2017, 2018, 2019 წლებში განსახორციელებელი პროექტების სამშენებლო ღირებულება განისაზღვრა შესაბამისად 1 833 670 (ერთი მილიონ რვაას ოცდაცამეტი ათასექვსას სამოცდაათი), 3 970 000 (სამი მილიონ ცხრაასსამოცდაათი ათასი) ლარითა და 3 200 000 (სამი მილიონ ორასი ათასი) ლარით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ, სახლმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების, გამარტივებული შეყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც უშუალოდ არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში გაცემულია 65,6 ათასი ლარის ოდენობით აქედან:

ა) სტიქიის შედეგად (ხანძარი,წყალდიდობა) დაზიანებული საცხოვრებელი მოსახლეობის სახლების ერთჯერადი დახმარების სახით გაცემულია 6,7 ათასი ლარი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების გარდაცვალების გამო სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებისათვის 0,7 ათასი ლარი და ევროპის ტურნირებში მონაწილე სპორტსმენების წახალისებისათვის 2,0 ათასი ლარი.

ბ) ინფრასტრუქტურული პროექტების გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით, კერძოდ: სოფ.სარკინეთი - განახლების და სოფ. გომარეთის მიმართულებით არსებული სასმელი წყლის მაგისტრალური ხაზის გადატანის მიზნით 48,5 ათასი ლარი და ამავე სოფლების მიმართულებით გარე განათების ბოძების დემონტაჟი - მონტაჟის სამუშაოების ჩასატარებლად 4,1 ათასი ლარი

გ) სოფ ირგანჩაის და კიზილ-აჯლოს მისასვლელი გზების თოვლისგან გაწმენდა 1,6 ათასი ლარი

დ) სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები, კერძოდ რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადებში მონაწილე გუნდებისათვის სპორტული ფორმებით უზრუნველყოფა -0,9 ათასი ლარი და გამარჯვებული გუნდების დაჯილდოვებისათვის პრიზების შესაძენად 0,5 ათასი ლარი. მინი ფეხბურთში გამარჯვებული გუნდების წევრების დაჯილდოებისათვის 0,4 ათასი ლარი და ეტალონში გამარჯვებული 0,2 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების და გადასახდელების დეტალური მუხლობრივი განწერა დაფიქსირებულია ორგანიზაციულ ჭრილში შესაბამისი კოდის მიხედვით თანდართულ შესრულების ფორმებში.

დანართი: 20 ფურცელი.

გიორგი ტატუაშვილი



მუნიციპალიტეტის მერი